თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

სხდომის ოქმი

N 7

ქ. თეთრიწყარო 27.06.2018 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გულიკო შოშიტაშვილი
2. ჯემალ ბორცვაძე
3. მურმან დვალაძე
4. ალექსანდრე კვერნაძე
5. დავით ბაციკაძე
6. გოჩა კაპანაძე
7. მერაბ ართმელაძე
8. ხათუნა ახალაია
9. არნოლდ სტეფანიანი
10. ბიჭიკო ბიჭიაშვილი
11. ია არსენიშვილი
12. ლუსინე დოსტიბეგიანი

დღის წესრიგი:

1. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ მომზადებული რეკომენდაცია/შენიშვნების განხილვა/დამტკიცება 2018 წლის 4 მაისის სხდომაზე თეთრიწყაროს მერიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თაობაზე;
2. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსიის განხილვა;
3. ევროკავშირის ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" მიმოხილვა და ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების მიმდინარე პროცესის გაცნობა.

განიხილეს: სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მიერ მომზადებული რეკომენდაცია/შენიშვნები 2018 წლის 04 მაისის სხდომაზე თეთრიწყაროს მერიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს :

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებმა განიხილეს 2018 მერიის მიერ 2018 წლის 4 მაისის საბჭოს სხდომაზე წარმოდგენილი დოკუმენტები, კერძოდ: კულტურის სტრატეგიის განხორციელების მოკლევადიანი სამოქმედო გეგმა, მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტები და აგრეთვე, თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კულტურული მემკვიდრეობის

სააგენტოსთვის გადაცემის საკითხი. საბჭოს რამდენიმე წევრმა დასვა კითხვა მუზეუმის შენობის გადაცემასთან დაკავშირებით.

დაადგინეს:

საბჭომ შეისწავლა სხვა ქვეყნებში აპრობილებული გამოცდილება, გაითვალისწინა საქართველოში არსებული პრაქტიკა, თეთრიწყაროში არსებული ვითარება და ჩამოაყალიბა დოკუმენტებთან დაკავშირებული შემდეგი სახის შენიშვნები:

1. კულტურის სტრატეგიის განხორციელების მოკლევადიანი სამოქმედო გეგმაში განხორციელების დროის გრაფაში ყველგან მითითებულია 2018 წელი. ამიტომ გაუგებარია რომელი ღონისძიება უკვე განხორციელდა და რომელი იგეგმება.
2. აქტივობის ბიუჯეტის გრაფაში ბევრ აქტივობას არა აქვს მითითებული თანხა, რაც აჩენს კითხვებს და გაუგებარია, ეს ღონისძიებები დაუფინანსებლად ჩატარდა, არ ჩატარებულა თუ დონორია მოსაძიებელი. მაგალითად 1.1.1; 1.1.5; 2.1.4; 3.1.2 და ა.შ.
3. 1.2.2; 1.2.3; 1.2.4; - დოკუმენტის იხედვით გაუგებარია მათი სტატუსი. თუმცა ამავე დროს მითითებულია, რომ „მოეწყო 3 გასვლითი ღონისძიება და მონაწილეობდა 50-მდე ახალგაზრდა"; „ჩატარდა 10-მდე კულტურული ღონისძიება"; „დაფინანსდა 3 ახალგაზრდა"; „დაფინანასდა 2 პროექტი". ბიუჯეტის გრაფაში წერია „-„

საბჭოს გაუჩნდა შემდეგი კითხვები:

1. ეძებს თუ არა ადგილობრივი თვითმმართველობა დაფინანსების სხვა წყაროებს?
2. აქვს თუ არა თვითმმართველობას დაფინანსების წყაროების ძიების გამოცდილება?
3. აქვს თუ არა მას დაფინანსების წყაროების მოძიების სტრატეგიული გეგმა?
4. დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მონიტორინგის რა მექანიზმებს იყენებს ადგილობრივი თვითმმართველობა, ქვეყნდება თუ არა ამ მონიტორინგის შედეგები და სად?
5. მომავალი წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვისას რომელ სტადიაზე შეუძლიათ მოქალაქეებს დაგეგმვაში მონაწილეობა და რა მექანიზმებს იყენებს ადგილობრივი თვითმმართველობა ამისათვის.
6. თეთრიწყაროს მერიის მხრიდან რა რეაგირება მოყვა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 4 ივნისის სხდომის ერთ-ერთ რეკომენდაციას - შეესწავლა და შესაძლებლობების ფარგლებში მოეგვარებინა მიტოვებული მშენებარე საკანალიზაციო ქსელის გამო არსებული მანგლისის მცხოვრებთა საყოფაცხოვრებო პრობლემა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო მუნიციპალიტეტის მერს სთავაზობს შემდეგი სახის რეკომენდაციებს:

1. ვინაიდან არაერთი კულტურული და ინფრასტრუქტურული პროექტი ვერ ხორციელდება დაფინანსების არარსებობის გამო, საბჭოს მიზანშეწონილად მიაჩნია ჩამოაყალიბოს მერიამ ალტერნატიული დაფინანსების წყაროების მოძიებაზე, დონორებთან ურთიერთობასა და ფილანტროპიის წახალისებაზე ორიენტირებული ჯგუფი და შექმნას ალტერნატიული დაფინანსების წყაროების მოძიების სტრატეგია..

2. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტმა მის სამოქმედო ტერიტორიაზე კულტურის მხარდაჭერის მიზნით, შექმნას ადგილობრივ დონეზე კულტურის განვითარების სტრატეგია, რომელიც დააკონკრეტებს და ზუსტად განსაზღვრავს კულტურის დაფინანსების წესსა და პრიორიტეტებს. გარდა ამისა, სტრატეგიით განისაზღვრება ტერიტორიაზე არსებული კერძო სექტორის მონაწილეობის საკითხი დაფინანსების პროცესში.
3. სტრატეგიის განხორციელების მიზნით, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას საერთაშორისო გამოცდილება კულტურის დაფინანსების საკითხის სწორად განსაზღვრისათვის.
4. დღესდღეობით თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი რეალურად იძლევა მრავალი ფესტივალისა და სხვადასხვა კულტურული ღონისძიების ჩატარების შესაძლებლობას, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს მუნიციპალიტეტის, ადგილობრივი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ერთობლივი ფინანსური მონაწილეობით. საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით სრულიად შესაძლებელია და სირთულეს არ წარმოადგენს.
5. მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მონიტორინგის პროცესში მერიამ მისცეს მრჩეველთა საბჭოს წევრებს შესაძლებლობა თვითმმართველობასთან ერთად ჩაერთონ მონიტორინგის ჯგუფში შესრულებული სამუშაოების შესაფასებლად;
6. მერიამ მისცეს შესაძლებლობა მრჩეველთა საბჭოს მონაწილეობა მიიღოს მომავალ წელს განსახორციელებლი პროექტების დაგეგმვაში იმ ეტაპზე, ვიდრე შესაძლებელია პროექტის კორექტირება, თუკი ამისი საჭიროება გაჩნდება.
7. მოისმინა რა მრჩეველთა საბჭომ მერიის მიერ საბჭოს სხდომაზე მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთვის გადაცემის სავარაუდო პირობები, იმსჯელა გადაცემის პროცესზე, შეაფასა ამ გადაცემის პოზიტიური მხარეები და მოსალოდნელი რისკები, თეთიწყაროს მერს აძლევს შემდეგი სახის რეკომენდაციას:

   თეთრიწიყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გადაცემამდე პოტენციურმა მმართველმა წარმოადგინოს:

- მუზეუმის განვითარების სტრატეგია, რომელიშიც დეტალურად იქნება ნაჩვენები მუზეუმში არსებული ექსპონატების შენახვისა და მოვლა-პატრონობის, მუზეუმის დაცვის, ავტოპარკის განახლების, ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, შემდგომი ექსპლუატაციის პირობების, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და მუზეუმის მიერ განსახორციელებელი საქმიანობების ხედვა.
- სასწავლო და სამოტივაციო ღონისძიებები, რომლებსაც ის განახორციელებს მუზეუმში პროფესიონალი კადრების მოზიდვისთვის; მუზეუმის საქმიანობაში ახალგაზრდა თაობის ჩართვის პერსპექტივები;
- დაგეგმილი დეტალური ბიუჯეტი, რომელიც გამჭვირვალეს გახდის როგორც თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების, ასევე მოსალოდნელ ყველა ხარჯს.
8. მრჩეველთა საბჭო ურჩევს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერს, მუზეუმის საბოლოო გადაცემაზე გადაწყვეტილების მიღებამდე გამოაქვეყნოს მუზეუმის პოტენციურ მფლობელთან შეთანხმებული პირობები.

   სხდომაზე წარმოდგენილ რეკომენდაცია/შენიშვნებს საბჭოს წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

განიხილეს:

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსია. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ტურიზმის განვითარების განყოფილების უფროსმა, გოგა ასუმბანმა საბჭოს წევრებს გააცნო პრეზენტაცია ტურიზმის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის სამუშაო ვერსია. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აუცილებელია უკეთ მოწესრიგდეს მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის საკითხი, პერსონალის ინტეგრირებული ტრენინგები, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სტუმართმასპინძლობის სქემა, ეკოლოგიური სტრუქტურა, მხარდამჭერი სექტორის გაუმჯობესება, ინვესტირების მოზიდვა, ღირსშესანიშნაობების გაუმჯობესება, ტურისტული მიმართულებების კომპონენტის ხელშეწყობა და ა.შ.

აზრი გამოთქვეს :

საბჭოს წევრმა ლუსინე დოსტიბეგიანმა დასვა კითხვა: აღნიშნული სტრატეგიის განხორციელების დაწყებიდან გათვალისწინებული იქნება თუ არა სტრატეგიით გათვალისწინებული თანხები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა კითხვა: სტრატეგიის განხორციელების პირველ ეტაპზე, რომელი ღონისძიებები განხორციელდება პირველ რიგში და რას მიენიჭება პრიორიტეტები.

საბჭოს არაწევრმა მოქალაქემ, მერიის ტურიზმის განყოფილების სპეციალისტმა ლამარა ბექაურმა აღნიშნა, რომ ინფრაქტრუქტურულ პროექტებში გათვალისწინებულია რიგი მოქმედებები და პრიორიტეტი ენიჭება სველი წერტილების მოწესრიგებას.

საბჭოს წევრმა ალექსანდრე კვერნაძემ გამოთქვა აზრი, რომ პრეზენტაციის დროს მომხსენებელმა აღნიშნა სტრატეგიის მომზადებისა და ტურიზმის ნაკადების ანალიზის საფუძველზე, თუმცა, საინტერესოა ზუსტად ვინ შეადგინა, რის საფუძველზე მოხდა აღნიშნული დოკუმენტის მიღება და სად არის აღნიშნული ტურიზმის ნაკადების ანალიზი.

საბჭოს არაწევრმა მოქალაქემ კახა აღამანიშვილი დასვა კითხვა: სტრატეგიაში არ ჩანს როგორ მოხდება ინვესტორების მოზიდვა და არსებობს თუარა ინვესტორების მოსაზიდად გაწერილი გეგმა.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში შეიქმნება სამუშაო ჯგუფ, რომელიც შეისწავლის აღნიშნულ საკითხებს და განსაზღვრავს შესაბამის განსახორციელებელ მოქმედებებს.

ალექსანდრე კვერნაძემ კითხვით მიმართა მომხსენებელს: ითვალისიწნებს თუ არა წარმოდგენილი სტრატეგია ტურისტების მოზიდვას, რომელიც ეკონომიკურ სარგებელს მოუტანენ მუნიციპალიტეტს. სტრატეგიაში წარმოდგენილი ტურიზმის სახეები არ იძლევა ტურისტების მიერ თანხების ადგილობრივ დონეზე დახარჯვის შესაძლებლობას.

მომხსენებლის აზრით, კერძო ბიზნესის განვითარება ხელს შეუწყობს და აისახება მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდაზე. აღნიშნული საკითხი წარმოადგენს მეორე ეტაპზე განსახილველ საკითხს (სამუშაო ჯგუფის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები).

საბჭოს წევრმა ხათუნა ახალაიამ მანგლისთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტის გადაწყვეტის/განხორციელების დროს უნდა იქნას შესაბამისი სპეციალისტი ჩართული აღნიშნულ სამუშაოებში. მოიყვანა კონკრეტული მაგალითი, როგორ დაიგეგმა და გაკეთდა არასწორად სველი წერტილები მანგლისში, რა დროსაც ადგილი ქონდა წყლის სისტემის ქვემოდან ზემო მიმართულებით დამონტაჟებას.

ამასთანავე დასვა კითხვა, აქვს თუ არა მუნიციპალიტეტს რაიმე მზა ტურისტული პროდუქტი ტურისტების მასპინძლობის მიზნით, გარდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრებისა.

ამის საპასუხოდ, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ტურიზმის განყოფილებას გაკეთებული აქვს 11 ტურისტული მიმართულება. რამდენიმე ადამიანს ჩაუტარდა ტრენინგი, რომლებსაც შეუძლიათ ტურიზმის შეთავაზება. თუმცა არ არსებობს ბანერები, რომლებიც მიმართულებას და ინფორმაციას მიაწვდის ტურისტებს.

ალექსანდრე კვერნაძემ აღნიშნა, რომ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის გეგმა/ხედვა არ ემთხვევა წარმოდგენილ სტრატეგიას.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის და მშნებლობის განყოფილების უფროსმა ნატო ალთუნაშვილმა ახსენა, ბირთვისის ტურისტულ მარშუტზე დაგეგმილია მისასვლელი გზის მიყვანა (ბეტონის), საპირფარეშოს მოწყობა, ბანერისა და ნაგვის ურნის დადგმა დაახლოებით 1 კილომეტრამდე მონაკვეთზე.

ალექსანდრე კვერნაძემ იკითხა, ვინ განახორციელებს აღნიშნულ გზაზე არსებულ სველ წერტილზე მოლა-პატრონობას. ნატო ალთუნაშვილმა უპასუხა, რომ აღნიშნული საკითხი ჯერ არ არის განხილული და გადაწყვეტილი.

დაინტერესებულმა არაწევრმა მოქალაქემ ნინო როსტიაშვილმა დასვა კითხვა, არის თუ არა მანგლისის ტურისტულ ადგილებში გაზიფიცირება გაკეთებული.

მერიის არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილების უფროსმა ნატო ალთუნაშვილმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი პირდაპირ ვერანაირად ვერ დაგეგმავს და ვერ განახორციელებს გაზიფიცირებას. მიმართვა გაკეთებულია დაახლოებით ხუთჯერ მანგლისისა და სხვა ტურისტული ადგილების გაზიფიცირებასთან დაკავშირებით. წალკიდან მანგლისის გაზიფიცირება ჯდებოდა დაახლოებით 17 მილიონი ლარი და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ შეაჩერა აღნიშნული პროექტის დაწყების პროცესი. ასევე, მოიყვანა მაგალითები სხვადასხვა სპონსორების მიერ დაფინანსებულ პროექტებზე გაზიფიცირებასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა მერაბი ართმელაძემ იკითხა, ისეთ ადგილებში რომლებიც მიტოვებული და განუვითარებელია, შეიძლება თუ არა ფიზიკურმა პირმა აიღოს სარგებლობაში. ნატო ალთუნაშვილმა უპასუხა, რომ მუნიციპალურ ბალანსზე არსებულ ქონებაზე სხვადასხვა ხელშეკრულების ფორმა, რომელიც წარმოდგენილი იქნება მუნიციპალიტეტში, აუცილებლად განიხილება.

საბჭოს წევრმა დავით ბაციკაძემ რეკომენდაციის სახით აღნიშნა, რომ აუცილებელია დარგის მცოდნე სპეციალისტი იყოს უშუალოდ ჩართული შესაბამისი პროექტების განხორციელებაში.

დაადგინეს :

საბჭომ იმუშაოს წარმოდგენილ სტრატეგიაზე და შემდეგი სხდომისთვის მოამზადოს შენიშვნები და რეკომენდაციები.

განიხილეს:

ევროკავშირის ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ და ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების მიმდინარე პროცესი.

აზრი გამოთქვეს:

მომხსენებლმა, გოგა ასუმბანმა საბჭოს წევრებს გააცნო აღნიშნული ინიციატივის შესახებ და აღნიშნა, რომ თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ჩართულია აღნიშნულ ინიციატივაში და მან აიღო პასუხიმსგებლობა, რომ ბიზნეს სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებაზე ორიენტირებულ ეკონომიკური გეგმის

გაწერისათვის. სამუშაო ჯგუფმა დაიწყო ეკონომიკური გეგმის გაწერაზე მუშაობა, რომელშიც ასევე ჩართული იქნებიან სამოქალაქო საზოგადოების წევრები, ორგანიზაციები და ა.შ. ასევე, მომხსენებელმა წარმოადგინა ინიციატივის თაობაზე შენიშვნების კითხვარი.

საბჭომ დაასრულა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა და გასცა შემდეგი რეკომენდაცია:

1. ამ ოქმში აღნიშნულ შენიშვნა/რეკომენდაციების თაობაზე წერილობით გვაცნობოს მერიამ მუნიციპალიტეტის მოსაზრება და წერილობით წარმოადგინონ მათზე რეაგირების გზები.

ამით საბჭომ დაასრულა მუშაობა.

სხდომის მდივანი: ჯემალ ბორცვაძე

1. გულიკო შოშიტაშვილი
2. ჯემალ ბორცვაძე
3. მურმან დვალაძე
4. ალექსანდრე კვერნაძე
5. დავით ბაციკაძე
6. გოჩა კაპანაძე
7. მერაბ ართმელაძე
8. ხათუნა ახალაია
9. არნოლდ სტეფანიანი
10. ბიჭიკო ბიჭიაშვილი
11. ია არსენიშვილი
12. [illegible]